№ 167 აგვისტო 8, ხუთშაბათი 1891 აგვისტო 8, ხუთშაბათი № 167

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

---

*** ს. ნიგოითი. 6 ამ თვისას ნიგოითის წმინდა გიორგის ტაძარში აქაურის ბლაღოჩინის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის თ. მამია გურიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. პანაშვიდის წინად აპ. წულაძემ სიტყვა წარმოსთქვა მამიას მოღვაწეობის შესახებ.

*** მარიამობისთვის დამლევს, ან ენკენისთვის პირველს რიცხვებში ტფილიში მოელიან ბ-ნს რემერტს, რუსეთის სამკურნალო დაწესებულებათა უფროსს ინსპექტორს, წინად-კი სამხედრო-სამკურნალო გამგებელად ნამყოფს ჩვენს ქვეყანაში. ბ-ნი რემერტი აბასთუმანშიაც მივა რამდენისამე ხნით.

*** ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორს, ნერვების ავადმყოფობის მცოდნეს, ბ-ნს კ ა ვ კ ა ლ ე ვ კ ი ს დ ა უ ვ ლ ი ა ბ ო რ ჯ ო მ ი, ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ი, უნახავს იქაური მადნის წყლები და ამ დღეებში გამგზავრებულა ბათუმისაკენ, საიდამაც რუსეთს წავა.

*** ჩვენის ქვეყნისავე შესასწავლად და სამეცნიერო გამოკვლევისათვის ამ რამდენისამე დღის წინად ტ ფ ი ლ ი ს შ ი ჩ ა მ ო ვ ი დ ა ყაზანის უნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს პ რ ო ფ ე ს ო რ ი თ. ვ—ძე გრიგოროვიჩი.

*** ჩვენის გაზეთის რედაქციაში გამოგზავნილი მღვ. ნესტორ ბაკურაძის მიერ კავკავში შეკრებილი 11 მან. 40 კაპ.; ხაშურის სადგურზე 27 თებერვალს გამართულ წარმოდგენიდგან შემოსული 20 მან. 4 კ.. ქ-ნ მარიამ ჩაჩავას მოთავეობით ოჩამჩირეში გამართულ წარმოდგენიდგან შემოსული 10 მან. და ნესტორ ალმასხანის ძის გრიგოლიას მიერ შეკრებილი 24 მ. 50 კ. უკვე გარდავეცით დანიშნულებისამებრ წინამძღვარიანთ სკოლას, რისთვისაც მზრუნველი ამ სკოლისა ბ-ნი ი. წინამძღვრიშვილი მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ხალხის უბედურებას, სხვათა შორის, საქონლის ჭირიც შეადგენს. წელიწადი ისე არ გაივლის, რომ ან აქეთ, ან იქით მხარეს ჩვენს ქვეყანაში ამ სენმა თავი არ იჩინოს. მაგრამ ყველაზედ უფრო საქონლის ჭირი ჩრდილო კავკასიაში მძვინვარებს, განსაკუთრებით სტავროპოლის გუბერნიაში. ჯერ კიდევ განსვენებულმა ზისერმანმა, როცა სტავროპოლის გუბერნატორად იყო, მოიწვია მთელი კომისია ამ სენის წინააღმდეგ რაიმე საშუალების აღმოსაჩენად.

1879 წელს კანონიც გამოვიდა ჭირიან საქონლის დახოცვის შესახებ. მთავრობისგან დაწესებული იყო, რომ ჭირიან საქონლის დახოცვისათვის თითო სულზე 25 მანეთი მიეცემათ პატრონებსაო. პეტერბურგიდგან 30-მდე ბეითალი იყო გამოგზავნილი სხვადა-სხვა ადგილში ჭირიან საქონლის დასახოცად და იმ ვაჟბატონებმა ისე უერთგულეს თავისს საქმეს, რომ გაუსვეს ხელი და თითქმის ყველა საქონელს ჰხოცდენ იმ ადგილებში, სადაც ჭირი მძვინვარებდა. პატრონი 25 მანეთს იღებდა, მაგრამ ბოლოს ნახა, რომ მაინც ხელ-ცალიერი დარჩა და უსაქონლოდ ცხოვრება გაუჭირდა. საქონელი ამოხოცეს, მაგრამ ჭირი მაინც თავისას არ იშლიდა: მეორე წელიწადს კიდევ თავს იჩენდა. ცხადია, რომ თვითონ მიზეზი ამ სენისა არა აქვთ ჯერ გამოკვლეული, თორემ ბოლოს ადვილად მოუღებდნენ. მცოდნე კაცები ამტკიცებენ, რომ თავი-და-თავი მიზეზი საქონლის ჭირის გაჩენისა წყალი და ბალახია, წყალი თუ დამპალი აქვს საქონელს, ან თუ სულ არა აქვს და მასთან ბალახიც უვარგისია—ჭირი აუცილებლად გაჩნდებაო. სტავროპოლის გუბერნიაში წყალი მეტად ნაკლებია და ბალახიც ხშირად მეტად მაგარი და ეკალ-მაგვარია, ასე რომ ამ ადგილებში ჭირის გაჩენის მიზეზად სწორედ ამ გარემოებას ასახელებენ.

ამ თთვის 8 კავკასიის სამკურნალო სამართველოს კრება ექნება და უნდა განიხილოს ის წესები,

## ფელეტონი

---

### ათაბაგნი ბექა და აღბუღა
და
მათი სამართალი

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 48)

სამართლის ქმნა, რომელსაც აღბუღა საბჭოდ-ჯდომის უწოდებს, სარჩელით იწყება. სარჩელი მოსამართლესთან ჩივილია და ზედ მოსდევს საბჭოდ, სასამართლოდ შეყრა. ხოლო იგი შეყრა უნდა დაბოლოვდეს სამართლის დადებით. მაშასადამე, საათაბაგოს საბჭოდჯდომა რთული წარმოება ყოფილა: ჯერ სარჩელი უნდა შეეტანათ, მერე მოჩივარი და მეპასუხე სასამართლოდ შეყრილიყვნენ და თვითოეულს მათგანს ბჭეებისათვის საბუთი წარედგინა, შემდეგ ბჭეებს სარჩელი და საქმის გარემოება გაესინჯათ და ბოლოს სამართალი დაედოთ. ამ გვარი სამართლის ქმნა მხოლოდ განვითარებულს ერსა აქვს. პირვანდელს დროს, როცა საგვარეულო წესი არსებობს, სამართლის ქმნა დამოკიდებულია შურის-ძიებაზე. ხოლო შურის-ძიება ბრძანებს, დამნაშავეს სამაგიერო და სწორი ბოროტი მიეგოსო, სისხლმა სისხლი ზღოს და გვარმა გვარს მტრობა გარდუხადოსო. იმ დროს დანაშაული მთლად გვარის შეურაცხება და გაუპატიურებაა და ამის გამო ერთი გვარი მეორეს სდევნის. მტრობა დაუცხრომელს ბრძოლას ჰბადავს და თავ-აწყვეტილს ვნებათა ღელვას თითქოს დასასრულიც არ უჩანს. იგი ღელვა ხშირად მაშინ სცხრება, როცა ერთი გვარი მეორეს სრულიად სძლევს და მიწასთან ასწორებს. მაგრამ მუდმივ ასეთი ყოფა შეუძლებელია: მოსალოდნელია, რომ დაუცხრომელმა საგვარეულო შურის-ძიებამ საბოლოოდ მოსპოს ხალხის ცხოვრება და თვითოეული გვარი ძირიან ფესვიანად ამოაგდოს. ამიტომ, ჟამთა-ვითარების გამო, საგვარეულო შურის-ძიებას ფრთები ეკვეცება, ნელ-ნელა ძალა აკლდება, და სავარჯიშო მოედანიც უმცირდება. შურის-ძიება გვარიდგან ოჯახზე გადადის, მერე ოჯახს თავს anებებს და ახლო ნათესავებს სდევნის და დასასრულ მარტო პირდაპირ დამნაშავეს ულესავს თავისს მახვილსა. ყოველს შემთხვევაში მახვილი მაინც უწყალო და შეუბრალებელია, რადგანაც შურის-ძიება სარწმუნოებიდგან მომდინარეობს: წინაპართა სული სამარიდგან მტრის სისხლსა თხოულობს და ცათა მიმართ ღაღადებს, სამაგიერო გარდუხადეთ დამნაშავესაო [213]). მრისხანეა და საშინელი ზარი აქვს წინაპართა ღაღადს. ვერც ერთმა ხალხმა ვერ შესძლო, სმენა და ყური აერიდა ამ ღაღადებისათვის. რომში, მაგ., პირველ მეფობის დროს მკვლელი ვალდებული იყო, მოკლულის ნათესავებისათვის ცხვარი მიეყვანა. ცხვარი უნდა დაეკლათ და ეს დაკვლა დამნაშავის მოკვლას ნიშნავდა, ზვარაკის სისხლი თვით მკვლელის სისხლიაო [214]). თუ რა ხანგრძლივია შურის-ძიება და რა დიდს მანძილზე მიდის, ამას ევროპის ცხოვრება ამტკიცებს: იქ ჯერ ისევ XVI და XVII საუკ. შურის-ძიებას ცხოველი ძალა ჰქონდა [215]). რასაკვირველია, საათაბაგოც ვერ ასცდა

[213]) *Зак. и Об. на Кав. II. 219—229 См. также Совр. Об. и Др. Зак. II. 37—42.*

[214]) *Рудольфъ Іерингъ, Духъ Римскаго права, ч. I. 1875 г. стр. 161.*

[215]) *Совр. Об. и Др. Зак. II. 53—4.*

შურის-ძიების ღელვას და ამას აღბუღა მოწმობს. მაგრამ შესანიშნავია, რომ, თუმცა აწინდელს დროს აჭარაში შურის-ძიებას თითქო საზღვარი არ უძევს და საშინლად მძვინვარებს [216]), ძველად-კი ასე არ ყოფილა: საათაბაგოში შურის-ძიებას აღარ ატყვია პირვანდელი მრისხანება და სიმკაცრე. ჯერ ერთი, რომ მოკვლისათვის მოკვლა არ შეიძლებოდა და დამნაშავეს სისხლში თეთრი უნდა გარაეხადა. მეორედ, შურის-ძიებას მცირე სარბიელი ჰქონდა და დროც მოკლე—„თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და მანქანებითა, კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან დიდებული, სადამდისა პატრონის ჯაყელისა და მაწყვერლისა კაცნი და ხატი ყოვლად-წმიდისა მიესწრებოდნენ, მასამდინ დაწვას თუ რასაც ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არ მიეფასოსო...“ (მუხ. ბ). რა-კი ასეა, შურის მეძიებელს პირდაპირ დამნაშავესთვის უნდა მიემართა და მარტო „დაწვას“ და „სხვა მტრობას“ დასჯერდებოდა,—სამართალი მოკვლის ნებას არ აძლევდა. ასეთი შურის-ძიება ბევრად საშელავათოა. ყოველს შემთხვევაში, „დაწვა“ და „სხვა მტრობა“ მაინც შურის-ძიებას შეადგენდა და იმ უძველეს დროიდგან მომდინარეობდა, როცა სამართალში ძალ-მომრეობა სუფევს. მამულსა დ̃ ქონებაზე მიმართული შურის ძიება (грабованіе, барантованіе) საზოგადო ჩვეულებაა და ცნობილია, როგორც საქართველოში, ისრე სხვაგანაც [217]). ეს ჩვეულება მაშინ წარმოდგა, როცა სამამულო დამოკიდებულება ჯერ წესიერად არ იყო

[216]) დ. ბაქრაძის *Арх. пут.* 14, 43, 94—6.

[217]) *Зак. и Об. на Кав. II. 122—3, 131.*

განწყობილი და პატრონს, „ნაწყენს“, ნება ჰქონდა, თავისით ყოველ გვარი ზარალი გარდაეხდევინებინა დამნაშავესთვის [218]). სამამულო და სასისხლო შურის ძიება ერთსა და იმავე დროს გაჩნდა. ეხლაც ზოგიერთს ადგილას ორივე თანაბრად სწარმოებს. ასეა, მაგ. დაღესტანში. აღბუღა-კი ამბობს, მხოლოდ სამამულო შურის-ძიება შეუძლიან ნაწყენსაო და ასეთი დადგინება, რაც უნდა იყოს, წარმატებულის ცხოვრების ნაყოფია. შურის-ძიებას საათაბაგოში სხვა ცვლილებაც ამჩნევია, იქ იგი უფრო ლმობიერი და მშვიდია. ძველად ასე არა ყოფილა და თვით ევროპაში შურის-ძიების ბასრი მახვილი თანასწორად ჰლახვრიდა, როგორც სხვის ქონების მძარცველსა და მტაცებელს, ისე სისხლის მღვრელსაც [219]). ათაბაგმა სხვაფრივ დააწესა. თუმცა იმის დროს პარვა და მეკობრობა გახშირებული იყო და დიდს უბედურებას უქადდა საზოგადოებას, მაგრამ მაინც მპარავსა და მეკობრეს მამულიდგან გაძევება და ორკეცად ნაძარცვის და ნაქურდალის გარდახდევინება გაუჩინა. მართალია, პატრონს შეეძლო ცხადად მპარავი და მეკობრე დაუსჯელად მოეკლა, თუ დანაშაულზე მიასწრობდა, მაგრამ ეს სასტიკს შურის-ძიებას კიდევ არ ნიშნავს, რადგანაც, მოკვლის დროს, პატრონი უფრო თავისს სიცოცხლეს იცავდა. საზოგადო-კი სასისხლო შურის-ძიებას საათაბაგოს სამართალი უარ-ჰყოფდა. მოკვლა ხომ პირველი და მძიმე დანაშაულია, მაგრამ მოკვლისათვისაც მარტო სამამულო შურის-ძიება შეიძლებოდა და არა სასისხლო (მუხ. ბ). ეს კიდევ არაფერი: ნაწყენს სამამულო შურის-ძიებისათვის შეეძლო მიემართა იშვიათად, თითო-ოროლა შემთხვევაში. ასე იყო, მაგ., როცა ვინმე სხვას პატრონისა და ათაბაგის ღალატს დასწამებდა—„ოდესაც თავი იმართლოს, რაცა კაცისაგან ავი საზიანო მოიგონების, ყოველსა მტერობასა ემართლების“ მაბეზღარსაო (მუხ. მა). მაგრამ აქ „ყოველსა მტერობასა“ თავისი საბუთი ჰქონდა: მოღალატეს სამართალი სასტიკად სჯიდა და თვით ღალატიც იმ დროს ხშირი ამბავი იყო. უეჭველია, რომ უბრალოდ მოღალატედ შესმენილსაც შურის-ძიებისათვის უნდა მიემართა. საყურადღებოა, რომ ათაბაგი ერთგვარს თავისებურს შურის-ძიებას აღნიშნავს. ეს ის შურის-ძიებაა, როცა ძმა ძმასა ან მეყვისს საერთო მამულიდგან „გააბეზრებდა“, გააგდებდა—გაგდებულმა „რაგინდარა გარეთით აწყინოს, როდესცაღა შინა მოვიდეს, სამართლითღა ნულარა ეზღვების, ნუცა-ღა მიეთვლებისო“ (მუხ. მთ). ცხადია, მამულიდგან გაბეზრებაც ხშირი და გულსაკლავი ბოროტება ყოფილა და ამიტომ შურის-ძიებაც შეიძლებოდა. ყოველს შემთხვევაში, საათაბაგოში არ სუფევდა ერთურთი სიყვარული და სათნოება. აღბუღა არა ერთხელ და ორჯელ იხსენიებს „დამტერებას“, „სისხლისათვის გულის ტკივილს“ და სხ. იქაც ხშირად მძვინვარებდა შური და მტრობა და შურის ძიება მრავალგვარს ბოროტებას ჰბადავდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სამართალი სასტიკად სდევნიდა ყოველგვარს დანაშაულს, რომელსაც მიზეზად შურის-ძიება ედვა.

თუ პირვანდელს დროს შურის-ძიე-

[218]) *Op. cit. I. 68—70.*

[219]) *Совр. Об. и Др. Зак. II. 27—31. См. также Іеринга, 112—21.*

რომელიც მთავრობის მიერ უკვე გამოცხადებულია ქირიან საქონლის დახოცვის შესახებ და რომელიც უნდა ჩვენს მხარეშიაც შემოიღონ სახელმძღვანელოდ. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამ ბჭობას.

*** სახელმწიფო რკინის გზების დროებით სამართველოს ერთ ინჟენერისაგან მიუღია ქუთაისიდგან მთელი პროექტი ჩვენის მხრიდგან კავკავამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. ეს ინჟენერი აცხადებს თავისს პროექტში, რომ ქუთაისიდგან კავკავამდე თუ გაიყვანება რკინის გზა, უფრო იაფადაც დაჯდება და არც ნაკლებ საიმედო იქნება, ვიდრე ის გზა, რომელიც უნდა გაიყვანოს მთავრობამ ავჭალიდამ კავკავამდე ხევსურეთის მთებითაო. ზემო იმერეთში ამ ინჟენერს ბევრი ძველის-ძველი გვირაბები უნახავს თურმე აქა-იქ გამოქვაბული დიდს მანძილზედ. ეს გვირაბები რომ გამოიწმინდოს და შეკეთდეს, ადვილად შეიძლება რკინის გზაც გაიყვანონ ამ გზითაო.

დროებით სამართველოს ეს პროექტი წარმოუგზავნია ბ-ნს რიძევსკისათვის, რათა ადგილობრივ გამოიკვლიოს ამის სიმართლე და მერე ამის შესახებ თავისი აზრიც მოახსენოს სამართველოს. ამის გამო, კავკასიონის ქედზე რკინის გზის გაყვანის საქმეს კიდევ ახალი ფერი დაედო და ვნახოთ, რა ბოლო მიეცემა ამ ახალს პროექტს.

*** ორშაბათს, 5 მარიამობისთვეს, ჯავის ხეობაში დაუჭრიათ მღვდელი გრიგოლ სანაყაშვილი. მღვდელი მოდენილა ცხენით და თან ორი სამი კაცი ჰყოლია. ლიახვის ნაპირზე ტყეში დამალული ყოფილა რამდენიმე კაცი. ერბაშად ერთსა და იმავე დროს ორი თოფი გავარდნილა, მაგრამ ჯერ ჯერობით მღვდელს არაფერი არ უგრძვნია, მხოლოდ მიმხვდარა, რომ აქ ან ჩემი მტრები უნდა იყვნენ, ან ავაზაკნიო, და უკან დაბრუნებულა. მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ მღვდელს შეუმჩნევია, რომ ხელში ტყვია მოჰხვედროდა და ჭრილობიდამ სისხლი სდიოდა. შეუტყობინებიათ გამომძიებლისათვის და მღვდელი ცხინვალის ქსენონში წაუყვანიათ. ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს.

*** ტფილისის მაზრის უფროსს თ. ჯანდიერს და მცხეთის ბოქაულს გუგუშვილს გაუთავებიათ გამოძიება და ამ ორ-სამს დღეში ჩამოვლენ გორიდამ ტფილისს.

*** ახალქალაქიდამ (გორ. მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ზოგიერთს ალაგს მილდიუ გაჩენილა და ვაზს სრულიად ანადგურებს თურმე. მილდიუ აღმოუჩენიათ საფილოქსერო კომისიის მოსამსახურეებს.

*** აჯიქაბულიდამ გვატყობინებენ, რომ თათრების დღესასწაული „შაქსეი-ვახსეი“ კვირას 4 მარიამობისთთვეს გათავდა დიდის ამბით მთელის შვიდის დღის დღესასწაულობის შემდეგ. სოფ. ნავაგაში, სადაც ხანჯლების თავ-პირში ცემას ბოლო აღარა ჰქონდაო. აქ ხმა მოვიდა, რომ რამდენიმე მომკვდარა კიდეც ჭრილობისაგან. ხალხსა სწამს, ამ დღეს მომკვდარი კაცი ცხონებულიაო.

*** 21-ს ივლისს ს. ქვემო-მაჩხაანში იყო წარმოდგენა სასარგებლოდ ბ. პ. ა—ძისა, რომელმაც წრეულ დაამთავრა კურსი ქუთაისის კლასიკურს გიმნაზიაში და გაემგზავრა უმაღლესს სასწავლებელში. წარმოადგინეს „რაც გინახავს, ველარ ნახავ!“. ცაგარელისა, იმღერეს კახურ-იმერულ-გურული სიმღერები ლოტბარობით ა. ს—ძე ბენაშვილისა და სხვა-და-სხვა სცენები წაიკითხეს ხალხის ცხოვრებიდამ. სრული შემოსავალი 44 მან. იყო, ხოლო ხარჯს გარედ 41 მ. და 74 კ. დარჩა, რომელიც ჩაჰბარდა ბ. ა—ძეს. წარმოდგენაში და სიმღერებში მიიღეს მონაწილეობა ქ.ქ. ო. გ. უთასაშვილმა, თ. ვ. მენთეშაშვილმა, ე. ი. ზარაფაშვილმა და ქ. მენთეშაშვილმა ბ-ნი ბ. ა. ს—ძემ ბენაშვილმა, დ. ნადირაშვილმა თ. და ვ. მენთეშაშვილებმა, პ. ნაცვალიშვილმა, ს. ნადირაშვილმა, თ. შანშიაშვილმა, დ. ჯავაშვილმა, ა. ფურცელაძემ, ა. ჯამასპაშვილმა და რამდენმამე სხვა ყმაწვილმა კაცმა, რომელნიც დიდის მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც შრომა გასწიეს: ზოგი მათგანი დაუზარებლად დადიოდა 3 და 4 ვერსის მანძილზე რეპეტიციების დროს.

დიდის მადლობის ღირსია აგრეთვე მღვდელი ა. ს. ბენაშვილი, რომელმაც შემოსწირა სასარგებლოდ ბ. ა—ძისა 6 მანეთი, მღ. ი. ი. იაშვილი (შემოსწირა 5 მან.), და კიდევ სხვა რამდენიმე კაცი, რომელნიც ბილეთებში მეტს ფასს იძლეოდნენ. რამდენმამე კაცმა ვერ შეიძლო წარმოდგენაზე მოსვლა და, რა-კი იცოდნენ, რომ საქველ-მოქმედო საქმე იყო, დაგვპირდნენ, შეძლების დაგვარად ჩვენც შევეწევით ბ. აბულაძესაო.

*** მანგლისში ბავშვების ავადმყოფობაა თურმე გავრცელებული. როგორც გვიამბეს, იქ ხშირად ხდებიან ავად ყვავილითა, ხუნაგითა და ყივანა ხველით. რამდენიმე სახლობა, აგარაკად წასული, უკვე ტფილისში ჩამოსულა.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა). ამ თთვის 4 სოფ. რუისში შემდეგი უბედურობა დატრიალდა: ნიკოლოოზ მამაცაშვილის 12 წლის ყმაწვილს თოფი ეცოდილებინა: ჰგონებოდა, გაუტენავიაო; თოფი ჩახმახზედ შეეყენებინა და ლულაში ჩეებერნა; იმ წამს, როდესაც ყმაწვილს თოფის ლულა პირში ედო, თოფმა დაიგრიალა, ტყვია პირის სასიდგან უკანა კეფაში გავარდა და ყმაწვილმა სული მაშინვე განუტევა.

*** სანგაჩალიდამ. რკ. გზისა სად. გვწერენ: ამ თთვის 5 ორშაბათს, დილის მეექვსე საათის ნახევარზედ ჩვენს სადგურზედ მატარებლები დაეჯახნენო. საქმე ამ ნაირად მოხდა: მატარებელი № 93 ჩვენს სადგურზედ იყო და სხვა-და-სხვა ლიანდაგზედ გადადიოდ-გადმოდიოდა. სწორედ ზემო აღნიშნულს დროს ბაქოდგან მატარებელი № 32 მოდიოდა ჩვენს სადგურზედ. რადგან ამ დროს სადგურზე თავისუფალი ადგილი არ იყო სხვა მატარებლისათვის, სადგურის უფროსმა გზა შეჰკრა იმით, რომ წითელი ფარანი აანთო. 32 ნომრის მატარებლის მემაშინეს თურმე დასძინებოდა, წითელი ფარანი ვერ შეენიშნა და მატარებელი პირდაპირ სადგურს მიეშურა. წითელს ფარანს რომ გაჰშორდა, გზაზედ მატარებელი № 93 შეეჯახა და... კიდევ კარგი, უბედურება არა მომხდარა-რა, ხოლო ძალიან დაზიანდა ორთქლ-მავალი № 32 მატარებლისა; ამავე მატარებლის თერთმეტი ვაგონი ლიანდაგიდამ გადმოსცვივდა; ესეთივე ბედი ჰხვდა მეორე მატარებელსაც: გადმოვარდა ორთქლ-მავალი და შვიდი ვაგონი.

საქონლის მატარებლების მიმოსვლა დღეს შეჩერებულია და შეიძლება სახალხო მატარებელმაც ვერ იაროს და ხალხი ერთის მატარებლიდამ მეორეში ფეხით გადავიდეს, თუმცა ამის ასაცდენად ყოველს ღონეს ხმარობენ.

*** გაზ. „ტ. ლისტოკ“-ს შეუტყვია, რომ მომავალს ზამთარში ტფილისში სომხურს თეატრში მონაწილეობას მიიღებს არტირსტი ქალი—ქ-ნი სირანუმ, რომელიც სტამბოლიდამ ჩამოვა.

ტფილელები ამ არტისტ-ქალს კარგად იცნობენ, რადგანაც სომხური დრამატიული დასი მოღვაწეობდა ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენში ბ-ნ ამატუნის ხელმძღვანელობით და ამ არტ-ქალის მონაწილეობით.

---

ბა დაუცხრომლად მძვინვარებს, ამის მიზეზი, სხვათაშორის, ისაა, რომ სარწმუნოება შურის-ძიებას წმინდა მოვალეობად ჰხადის. მართლაცდა, ძველად თითქმის ყველა ხალხს შურის-ძიება სამღთო მოვალეობად სწამებია [220]). ეს იმიტომ, რომ დანაშაულს სარწმუნოებრივი დასაწყისი აქვს. რომში მაგ., დანაშაული ნიშნავდა კერპების შეურაცხებას და განრისხებასა [221]), ხოლო სასჯელი—განწმენდასა. სხვაგანაც ასე ყოფილა და უმეტესად, აზიაში. რაკი დანაშაული სარწმუნოებაზე დაფუძნდა, სამართალმაც დააწესა, დამნაშავეს მკვდრის სულმა უნდა შეუნდოს ბრალი, მკვლელმა საფლავზე უნდა შეინანიოს ცოდვაო [222]). საყურადღებოა, რომ ჩვენს დროსაც ხევსურნი ამ აზრისანი არიან: მკვლელი ხატს უნდა შეეფაროს, მსხვერპლი შესწიროს მკვდრის სულსა და მხოლოდ მაშინ შეუნდობენ დანაშაულსა [223]). ეს ჩვეულება საგვარეულო წყობილების დროს აღორძინდა, როცა წინაპართა თაყვანის ცემა საერთო მოვლენაა. შემდეგ, როცა საგვარეულო ცხოვრება ჰქრება და სახელმწიფო არსებდა, შურის-ძიებაც ჰკარგავს პირვანდელს თვისებას: იგი სამღრთო საქმე აღარაა და წინაპარებს შურის-ძიებისა არა ეკითხვით-რა. ეგრეთი ცვლილება შურის-ძიებას საათაბაგოშიც ამჩნევია. სარწმუნოებას ძალა და გავლენა აღარა აქვს ამ საშინელს ვნებაზე და მხოლოდ ჯაყელსა და მაწყურელს ეკითხვის შურის-ძიების საქმე.

[220]) *Совр. Об. и Др. Зак. II. 11—17.*
[221]) *Iерингъ, Духъ Римскаго права, гл. III, Религiозный принципъ, 238—9 и слѣд.*
[222]) *Зак. и Об. на Кав. II. 227—9.*
[223]) *ibid. 116—7.*

სწორედ ასე მოხდა ევროპაშიც, სადაც კოროლებმა დაადგინეს ეგრედ წოდებული „королевскiй миръ“, რომლის გამო დადებულს დროსა და აღნიშნულს ადგილზე ყველას აკრძალული ჰქონდა შურის ძიებისათვის მიემართა [224]). აღბუღაც აწესებს, მკვლელს შურის ძიება უნდა სდევნიდეს „სადამდის პატრონისა ჯაყელისა და მაწყვერლისა კაცნი და ხატი ყოვლად წმიდისა მიესწრებოდნენ“, ხოლო „რა მივიდეს ხატი და იგი კაცნი, მას უკანით ველარ ემტერებისო“ (მუხ. ბ.) ცხადია, რომ საათაბაგოშიც, დროთა ვითარების გამო, „მშვიდობა“ დაარსდა და შურის ძიება ქვეყნეთიდგან მრისხანედ აღარ ღაღადებდა...

როცა მძვინვარე შურის ძიება მოისპო, მაშინ გაჩნდა ეგრედ წოდებული დაურვება (სისხლის მიცემა, compositio, wergeld, вира). ძველს დროს დაურვებაც საზოგადო ჩვეულება ყოფილა. ყველა ევროპიულს ძველს სამართალში თვითოეული დანაშაული და ბრალი დაფასებულია. დაურვება ნიხრს მიაგავს და წინადვე გარდაწყვეტილია, ამა და ამ დამნაშავეს ამდენი უნდა გარდახდესო. დაურვება შურის ძიებისაგან წარმოსდგა და თუმცა იგინი განსხვავდებიან, მაგრამ მსგავსებაცა აქვთ. შურის ძიება თხოულობს, სისხლში ნამდვილი სისხლია საჭირო, დაურვებაკი მსხვერპლს არ ნდომობს და ამბობს, დამნაშავემ ფასით შეისყიდოს თავისი ბრალიო. მაშ შურის ძიება დამნაშავეს პირადად სდევნის, ხოლო დაურვება დამნაშავის ქონებაზე ყრილობს ჯავრსა. და რომ დაურვებაც შურის ძიების ნიადაგზე აღმოცენდა, ამას ისტორია მოწმობს: როცა დამნაშავე, მაგ., მკვლელი შურის ძიების ასაცილებლად გარდიხვეწებოდა, იმის ქონება და მამული მოკლულის პატრონს რჩებოდა, ქონებასა და მამულს უნდა გაეცა პასუხი. სულ ძველად ამ ჩვეულებას მისდევდნენ. შემდეგ მთელს ქონებასა და მამულს თავი დაანებეს და სასისხლო ნიხრი შემოიღეს [225]). რაც უნდა იყოს, დაურვება მაინც შედარებით მაღლა სდგას შურის ძიებაზე. იგი მაშინ აღორძინდა, როცა ვნებათა ღელვა დასცხრა და საზოგადოებაში მშვიდობა და სათნოება დამყარდა. ამიტომაც ძველად რომში დაურვება შერიგებას (pactum) ნიშნავდა და ამ შერიგებას სისხლის სყიდვას უწოდებდნენ [226]). უეჭველია, რომ საათაბაგოშიაც დაურვება შურის ძიებას შემდეგ დაარსდა. ასე გასინჯეთ, დაურვების პირვანდელი ფორმაც-კი ნაშთად შენახულა სამართალში და ცხადად სჩანს, რომ საათაბაგოშიც დაურვებას იმავე გზით უვლია, როგორც სხვაგან: აღბუღა ამბობს, თუ დიდებულმა დიდებული მოკლას, „ვერ ამოუვიდეს და გარდეხვეწოს, მამული აქვნდეს პატრონსა ჯაყელსა და მაწყურელსა, ნახევარი მოსავლისა მესისხლეს აჰამოსო“ (მუხ. ბ.) სხვაგანაც ხომ თავდაპირველად დაურვება ასე დაარსდა და შემდეგ თვითოეულს დანაშაულს საკუთარი ფასი დაედო. საათაბაგოშიაც ყველა დანაშაულს თავისი თეთრი გაუჩინეს და, ამას გარდა, თეთრის მეტ-ნაკლებობა „გვარსა ზედა“ დააფუძნეს. თვით მკვლელიც ასცდა შურის ძიებას და, ვახუშტის სიტყვით, „მკვლელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი“. მაგრამ საათაბაგოზე ის არ ითქმის, რასაც ვახუშტი ამბობს—„უმდაბლესმან თუ მოკლას უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“ [227]). არა, საათაბაგოში სისხლის დაურვება და გაძევება საყოველთაოდ იყო გაჩენილი და სასჯელად ედო უმაღლესსაც და უმდაბლესსაც: „თუ აზნაურმა აზნაური მოკლას, სამ წელიწადს მამულისაგან გააყენონ... მეოთხესა წელიწადს შემოუშვან... და სისხლი ზღოს“ (მუხ. რნა). მოხსენებულია აგრეთვე დიდებულის გარდახვეწა და საზოგადოდ ძმისა და ახლო მეყვისის მკვლელზე სწერია: „ამა სოფელსა ძლივღა ინახვის კაცთაგან, აილოს ვინცა გავლენილი იყოს ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწაო“ (მუხ. ბ. კგ.) ცხადია, ჩვენი მეისტორიე სცდება და მით უფრო, რომ ვერ გაუგია, რას ნიშნავს გაძევება და საიდგან წამრომოსდგა იგი. გაძევება ძველი ჩვეულებაა და დასაწყისი შურის ძიებაში აქვს. ხევსურეთსა და დაღესტანში ვიდრე შერიგება არ მოხდება, მკვლელი თავისს მამულ-ადგილს უნდა გაშორდეს და სხვაგან იმყოფებოდეს. დაბრუნება მაშინ შეუძლიან, როცა სისხლს დაიურვებს [228]). ეს გაძევება თვითოეულისათვის სავალდებულოა, უმდაბლესი იქნება დამნაშავე თუ უმაღლესი. გაძევებული შურის ძიებას ერიდება, მოკვლისა ეშინიან და ამიტომ ნებაუნებურად შორდება მტერსა. გარდახვეწასაც აზრად ესა აქვს. სხვაგანაც ეგრე ყოფილა და მაგალითად ბერძნებისა და რომაელების ჩვეულებაც საკმაო უნდა იყოს [229]).

[224]) *Совр. Об. и др. Зак. II 47—53.*
[225]) *ibid. 54—62.*
[226]) *Iерингъ, 112—21.*
[227]) საქართველოს ისტორია, გვ. 6.
[228]) *Зак. и Об. на Кав. II. 116, 229—34.*

რას ნიშნავს თვით სისხლი?—ვახუშტის განმარტებით, „სისხლს უწოდებენ, როდესაც სწორმან ვინმე სწორი მოკლას“. ესეთი განმარტება უსაფუძვლოა. პირველად, რომ სისხლი ზოგადი სახელია, ყოველგვარს დანაშაულს გადაჭრილი სისხლი სძევს და მარტო მოკვლის გარდასახადს და მკვლელის სასჯელს არ ეწოდება. მეორედ, „სწორობა“ აქ არაფერს შუაშია. ვისაც ვინ უნდამ მოეკლა, სისხლი უნდა ეზლო და ასეთს საზღაურს განსხვავებული სახელი არ ერქვა. და რომ ვახუშტი სცდება, ამას სისხლის გაჩენა ამტკიცებს. მართლაც, როგორ და საიდგან გაჩნდა სისხლი?—ჯერ ერთი, რომ სისხლი საყოველთაო ჩვეულებაა და იქაც მოიპოება, სადაც უმაღლესობა და უმდაბლესობა არ არსებობს და ყველანი თანასწორნი არიან. ამას გარდა, სისხლი იშვა საგვარეულო წყობილების დროს, როცა დამნაშავეს მიუცილებლად სისხლი უნდა ეზლო, თუნდაც მცირე გვარისა ყოფილიყო. თავდაპირველად გვარი გვარს უხდიდა სისხლს, მერე სისხლის გარდახდა მკვლელის ახლო ნათესავების მოვალეობა იყო და ბოლო დროს თვით დამნაშავეს უნდა ეზლო სისხლი [230]). და თუ სისხლს ამ გზით უმდინარია, მაშ ცხადია, რომ სისხლი საზოგადო საზღაურია და არა განსხვავებული გარდასახადი. სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა სისხლს საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ საათაბაგოში. აღბუღა

[229]) *Карлъ Майнцъ, Историческое Введенiе въ элементарный Курсъ Системы Римскаго права, 1889 г. стр. 92—3 и 335, прим. 57. Iерингъ, 196.*
*230 Совр. Об. и Др. Зак. II. 62—69.*

*** 5 აგვისტოს პოლიციის მეოთხე ნაწილში მცხოვრებელმა ფრანგმა ერვიემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა ხელზე მოსამსახურემ ჩოხონელიძემ ქალის ოქროს საათი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს და საათს გარდა ერვიესაგანვე მოპარული სხვა და სხვა ნივთეული უპოვნეს, სულ 300 მანეთისა.

*** ამავე დღეს პროხოროვის აგურის ქარხანაში, რომელიც რკინის გზის ლიანდაგს იქითაა, რამდენიმე აისორი და სპარსული წაიჩხუბა და ერთმანეთსა სცემეს. ჩხუბის დროს მძიმედ დაშავდა ორი აისორი და ოთხი სპარსელი. დაშავებულნი სამკურნალოში გაპგზავნეს.

5 აგვისტოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკთან ელექტრონზე მომუშავეთა სადგურიდგან ისებ ქორიძეს 46 მან. ღირებული ხანჯალი მოჰპარეს.

*** ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებელმა ავეტიქ თარხანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მზარეულმა სავავას მცხოვრებელმა ანდრია ვერულაშვილმა 100 მან. ღირებული ავეჯი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს.

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

პატიოსანი მშრომელი, დარბაისელის ენისა,
ერთგული, წყნარი მოღვაწე, შეურყეველის რწმენისა,
ტრფიალი ხალხის თქმულების, ლექსების ტკბილ სასმენისა,
რიგის მოყვარე მწერალი, არად ამყოლი წყენისა,
ეკუთნის ღირსთა მუშაკთა შრომის გძელ მოსათმენისა,
სიყვარულითა მუშაკობს,—ხალისით არ-მოწყენისა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სუფსა.** (რკინის გზის სადგური). ჩვენს რკინის გზის სადგურზე ბევრგვარი უწესოება ჰსუფევს და ამ ბევრთა შორის უმთავრესი ადგილი ბახუსის თაყვანისცემას უჭირავს. მერე თაყვანისცემაც არის და თაყვანის ცემაც! აქ ამ დალოცვილებმა მუხლმოდრეკით იციან ამ კერპის თაყვანის ცემა. ხოლო საქმე ის-კი არ არის კიდევ, მუხლ-მოდრეკით იციან თაყვანისცემა თუ მუხლ-მოუდრეკელად, არამედ ისა, რომ ამ გვარს თაყვანისცემას ნიადაგ სხვა გვარი ცემა-ტყეპა და უსიამოვნება მოსდევს. ეს ყოველგან ასეა და თქვენშიაც ასე იქნებაო, მეტყვის მკითხველი, მაგრამ არც ეს არის საბუთი იმისი, რომ ამ სამწუხარო ამბავის გამო არ ვსწუხდეთ და არ ვღონდებოდეთ. მით უმეტეს მაშინ, როცა ვხედავთ, რომ უბრალო ვინმეები-კი არ სჩადიან ასეთს არა საკადრისს საქციელს, არამედ ისინი, ვისს ხელშიაც არის ჩვენი სადგურის ავ-კარგისა და ბედ-იღბალის გაძღოლა, რიგიანობისა და წესიერების დაცვა. დიაღ, ჯანი და სული გავარდეს, რომ ამ ნოეს მიერ ნაანდერძევს ცოდვაში მარტო უსაქმო და მაწანწალა ხალხი იყოს დანაშაული. უსაქმო კაცთან ვის რა საქმე გვაქვს, რომ იმის საქციელის გასჯა-გაკითხვაში შევიდეთ. არა, ჩვენ ის ამბავი გვაწუხებს და გვაღონებს, რომ უსაქმო კაცებთან ერთად ასეთს შეუფერებელსა და არა საკადრისს გზას ისეთი კაციც დასდგომია, რომელთანაც ყოველ-დღე და ყოველს წამს საქმე გვაქვს და რომელსაც მარტო ეს საქმე აქვს მინდობილი. ეს ვაჟ-ბატონი მაშინ არის კარგი, როცა სძინავს, ხოლო როცა ღვიძავს სულ ბახუსის სამსახურშია გართული, რის გამოც მასთან საქმის დაჭერა სწორედ ჭირის დღეა. იგინება, ილანძღება, იმუქრება, ისაყვედურება, ხოლო ბრალიანსა და უბრალოს ხომ აღარ არჩევს და არა. ყოველსავე ამას იმ საბუთით სჩადის, რომ ბახუსი მფარველობსო.

გვიკვირს და ვსწუხვართ, რომ ასეთს კაცს აბარია ჩვენის სადგურის ავ-კარგი. მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ამ სამწუხარო ამბის გამო მხოლოდ გაკვირვება და შეწუხება შეგვიძლია და სხვა არავითარი წამალი და საშუალება არ მოგვეპოება.

კარგი იქნება, რკინის გზის გამგეობა, რომელსაც ადგილობრივ მკვიდრთაგან უკვე მოხსენებული აქვს ამ ვაჟ-ბატონის საქციელი, დროიანად გამოიკვლევდეს ყოველს კერძოობას ამ საქმისას და შემდეგ შესაფერს განკარგულებას მოახდენდეს.

კალამი

**სოფ. შრომა.** (შორაპნის მაზრა). 29 ივნისს ამა წლისას, პეტრე-პავლობას, სოფ. ცხრაწყაროს წმიდის გიორგის ეკკლესიაში წირვა შეასრულა ადგილობრივმა მღვდელმა მ. თომა დუგლაძემ. ხალხი ეკკლესიაშიაც ბევრი იყო და გარედაც ბლომად იდგა. წირვის შემდეგ მ. დუგლაძემ წარმოსთქვა დღესასწაულის შესაფერი გრძნობითა და სახოებით აღვსილი სიტყვა და ხალხი დაარიგა.

ამასთანავე მ. დუგლაძემ რამდენიმე სიტყვა სთქვა ხალხის სწავლა-განათლების შესახებ. „სწავლა განათლებაა, ხოლო უსწავლელობა სიბნელეაო“, ამ სიტყვებით დაიწყო მ. დუგლაძემ მოძღვრება ხალხთან სწავლის საჭიროების დასამტკიცებლად და რამდენიმე ცოცხალი და გასაგები მაგალითი დაასახელა.

„აწ ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო ჩემნო! უმორჩილესად მთხოვნელი ვარ თქვენიო, სთქვა მ. დუგლაძემ: იშრომეთ სწავლა-განათლებისათვის და ადრე თუ გვიან ხელთ მისცეთ თქვენ შვილთა და შვილი-შვილთა ლამპარს მეცნიერებისას, რათა ისინი მაინც აღარ ჩაცვივდნენ ჯურღმულსა შინა უმეცრებისასა. გთხოვთ, ეხლავ შეუდგეთ და მოიპოვოთ საშუალება სასწავლებლის ასაშენებლად, რომელიც ისევე საჭირო თქვენის მომავალის კეთილ დღეღდეობისათვის, როგორც საზმელი და საჭმელი თქვენის ცხოვრებისათვის. ხოლო თუ დავინახავ თქვენს მეცადინეობას, მეც დიდს საშუალებას აღმოგიჩენთ და ფულადაც დაგეხმარებით შეძლებისა დაგვარად ჩემისა, ვიშუამდგომლებ აგრეთვე უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ისიც შეგეწიოთ ამ კეთილს საქმეში.

ბოლოს გთხოვთ, თქვენც და ვინც აქ არ არის, ისინიც, შაბათ-კვირაობით წირვა-ლოცვაზე ადრე მოხვიდეთ ხოლმე, რადგან მე მსურს, ცოტცოტად გაგაცნოთ საღმრთო ისტორიას ძველისა და ახალის აღთქმისას. ეს მით უფრო ადვილია, რომ ცისკარსა და წირვას შუა ხანდახან თითქმის საათ-ნახევარი რჩება ხოლმე, უკეთესი იქმება, ეს დრო მოვახმაროთ უბრალო და უსარგებლო ბაას-მასხარაობას-კი არა, არამედ ამ ღვთისა და კაცის საამო საქმეს და შევიტყოთ, თუ რა სწერია სამოციქულოში, სახარებაში“ და სხ.

მერე მ. დუგლაძემ პარაკლისი გადაიხადა.

## დეპეშა

5 აგვისტო

**პეტერბურგი.** გუშინ, $10^1/_2$ საათზე, მემკვიდრე ცესარევიჩი კრასნოე სელოში მიბრძანდა და ამით დაასრულა თავისი 9 თვის მოგზაურობა. წინა დღით, 3 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავრების გიორგი ალექსანდრეს ძისი და მიხეილ ალექსანდრეს ძითურთ კრასნოე სელოდგან სადგურს ტოსნოს გაემგზავრნენ უავგისტოესის სტუმრის მისაგებებლად. ბერძენთა დედოფალი, დიდნი მთავარინანი და დიდნი მთავარნიც დილის 10 საათზე მიბრძანდნენ კრასნოე სელოს სადგურზე, რომელიც შემკული იყო დროშებითა და ყვავილებით. აქვე შეიკრიბნენ მინისტრნი,

---

ამბობს, ყველა დამნაშავემ სისხლი უნდა ზღოსო, სულ ერთია სწორი იქნება, თუ არა, მაგ.,—„თუ დიდებულმან აზნაური მოკლას., მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს“ (მუხ. გ) და სხ. მართალია, როგორც მთელს საქართველოში, ისე საათაბაგოში სისხლი „გვარსა ზედა“ სდიოდათ, მაგრამ ეს სულ სხვა საგანია და სრულიად იმას არ ნიშნავს, ვითომ „სისხლს უწოდებენ, როდესაც სწორმან სწორი მოკლას“...

ვის უნდა დაეურვა სისხლი?—საათაბაგოში, რასაკვირველია, პირდაპირ დამნაშავეს, თუ არა და—იმის სახლობას, „ერთ სახლიანს მეყვისებს“. ზოგიერთს შემთხვევაში, როცა დამნაშავეს არა მოეპოებოდა-რა, ბატონს უნდა ეკისრა დაურვება. მაშასადამე, დაურვება სხვაფრივ იყო მოწყობილი, ვიდრე პირვანდელს განუვითარებელს დროს არის ხოლმე. საგვარეულო წყობილობის დროს დაურვება მთლად გვარის მოვალეობაა და თუ საათაბაგოში ასე არ იყო, ამის მიზეზი ერის იურიდიული წარმატებაა. მაგრამ ამ იურიდიულს წარმატებას თითქო ერთი გარემოება ჩრდილს ჰფენს და სახელდობრ აი როგორ: როცა ერის ცხოვრებაში სახელმწიფო წყობილება ფეხს იდგამს და გზას იკვლევს, მმართებლობის წარმომადგენელსაც უნდა მიეცეს სისხლის ნაწილი რადგანაც სამართლის ქმნა კერძო საქმე აღარაა და მმართებლობას აბარია. რუსეთში, მაგ., კნიაზობის დროს, ეგრედ წოდებული ვირა კნიაზს ეკუთვნოდა და ვირნიკები დამნაშავეს ახდევინებდნენ ამ ჯარიმას. ვირნიკებს გარდა, სისხლის გარდასახდელად კნიაზს ჰყავდა სხვა მოხელეებიც-ოტროკები, მეტელნიკები, რომელთაც ფასი ეძლეოდათ [231]). ძველად საფრანგეთში სისხლის ნაწილი გრაფსაც უნდა რგებოდა. გერმანელებისა და კელტების სამართალი პირდაპირ ავალებდა ბრალდებულს, ჯარიმა „კნიაზსაც“ გარდუხადეო [232]). რად?—საქმე ისაა, რომ დანაშაულს საზოგადო ბოროტებად სთვლიდნენ და საზოგადოების წარმომადგენელსაც ჯარიმა უნდა მიეღო, მით უმეტეს, რომ იგი ასამართლებდა. საათაბაგოში-კი სისხლი მთლად ნაწყენს და ამის სახლობას მიჰქონდა და არა სჩანს, ათაბაგს და იმის მოხელეებს ჯარიმა მიეცეთო. ამის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ საათაბაგოში დანაშაული კერძო საქმედ მიაჩნდათ და არა ისეთ ბოროტებად, რომელიც მთლად საზოგადოებას შეეხება და მმართებლობამ უნდა სდევნოს...

სისხლათან კავშირი აქვს სათავდებოს, ეგრედ წოდებულს wadium-ს, რომელიც, სისხლის დაურვებამდე, დამნაშავეს უნდა გარდეხადა და მერე სისხლში მისთვლოდა.

სათავდებოს მიცემა ხელშეკრულობა იყო,—აი ამოდენს წინადვე გაძლევ იმის ნიშნად, რომ მერე მთელს სისხლს დაგიურვებო. ეს ჩვეულება ძველად ევროპიელებსაც ჰქონდათ. მაგ., საქსონელებელსა და ფრიზების სამართალი wadium-ს ხელშეკრულობად სთვლის [233]). ამ ხელშეკრულობას საქართველოში სანახშირო ეწოდებოდა,—„ესე არს მესისხლენი დაზავდნენ, პირველად სანდო რამ მისცენ სისხლის გარდახდამდე“ (ს. ს. ორბელიანი). საქართველოში ძველს დროს, როცა მეფე რომელსამე დიდებულს სისხლის სიგელს უბოძებდა, ხშირად სიგელში სანახშიროსაც ჩაუწერდა ხოლმე და აღნიშნავდა—ესა და ეს და ამოდენი მოგეცეს სანახშიროდაო. როგორც სჩანს, დაზავებული მესისხლე სანახშიროში, ფულს გარდა, ავეჯსა და საქონელსაც იღებდა, სახელდობრ: ხმალს, ცხენსა და სხ. [234]) აღბუღაც იხსენიებს სანახშიროსა—„თუ ქრისტიანემან კაცმან ძმას თვალნი დასწვნეს ცხადად ანუ ღალატად, ანუ მოკვეთოს რამე ასოთანი, სისხლი სრული და სანახშირო დაურვოსო“ (მუხ. რჲგ). სამართალში განმარტებული არაა, სანახშირო სისხლის ნაწილს შეადგენდა, თუ ცალკე გარდასახადს. აგრეთვე არა სწერია, ყველას ეძლეოდა, თუ მარტო უმაღლესს. სიგელების მიხედვით-კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ სანახშიროს დიდ გვარისანი იღებდნენ და ისიც მძიმე დანაშაულში. ცხადია, თუ რად: სანახშირო ზავია, ხოლო ზავიც სამძიმო საქმეშია საჭირო. რასაკვირველია, სასისხლო საქმე უფრო დიდ გვარიანებისათვის იყო სამძიმო. უეჭველია, ჩვენშიც სანახშირო მაშინ დაარსდა, როცა შურის-ძიება მოისპო და დაურვება დაწესდა. თვით სანახშიროს განმარტება—„სანდო მისაცემი“—პირდაპირ ამას ამტკიცებს.

სანახშიროს გარდა, ათაბაგი აწესებს სხვა გარდასახადსაც—„საპირო დასანახებს“, რომელიც სულის წინაგასამძღვანებელია—„საპირო წინა გაუძღვანეთ და აგრე გაიბრჯენით“ (მუხ. ჲა). როგორც სახელ-წოდებაც უჩვენებს, საპირო დასანახები ანუ სულის წინა გასამძღვანებელი *) მხოლოდ მოკვლისათვის იყო დადებული. საყურადღებოა, რომ ეს უძველესი ჩვეულება ეხლაც არსებობს ხევსურეთში. როცა ხევსური ვისმე მოჰკლავს, სინამდე შერიგება მოხდება და დაურვება გათავდება, ბრალდებულის გვარმა და ნათესაობამ მკვდარს ცხვარი უნდა დაუკლას და იგი ზვარაკი სულის წინ გასამძღვანებელია, შესანდობელი [235]). საათაბაგოს საპირო დასანახებსაც ამ ჩვეულებაში აქვს საფუძველი, თუმცა ადგილობრივი, ფეოდალური ფერიც ატყვია—„გასინჯვა უნდა, რაცა ვის რა სასისხლო სჭირდეს“... „დიდისა დიდი გააჩინეთ და ცოტასი ცოტა... როგორც ვის მართებს, აგრე გააჩინეთო“ (მუხ. რჲ, რჲა).

შურის ძიება, დაურვება და სხვა ზემოდ აღწერილი ჩვეულება სამართლის შინაგანს ბუნებას შეადგენს. ხოლო სამართლის ქმნას თავისი გარეგანი ფორმაცა აქვს. ისტორია ამბობს, გარეგანი აგებულება სამართლისა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა მოწყობილი ერის ცხოვრება და რა გვარი გამგეობა არსებობსო. ძველს ათინაში, მაგ., გამგეობა დემოკრატული იყო, იქ თვით ერი განაგებდა სახელმწიფო ცხოვრებას და ამიტომ სამართლის ქმნაც ერს ეკუთვნოდა. ყოველ წლივ არხონტს უნდა ამოერჩია ექვსი ათასი ბჭე, ეგრედწოდებული ჰელიასტები და იგინი განაგებდნენ სამართლის საქმესა. თუ რაიმე მძიმე და დიდი საქმე გამოჩნდებოდა, მაშინ მთლად ერი, დემოსი ბჭობდა [236]). რომში თავდაპირველად, როცა მეფობა დაარსდა, სასამართლო გამგეობაც მეფემ დაისაკუთრა და სამართლის ქმნა მისგან მომდინარეობდა [237]). შემდეგ ხომ მეფობა მოისპო და არისტოკრატული რესპუბლიკა დამყარდა. მაშინ სასამართლო გამგეობაც შეიცვალა და სამართლის ქმნა არისტოკრატიამ ჩაიგდო ხელში... იმ დროს კვესტიებში ბჭობდნენ მხოლოდ სენატორნი და ცხენოსანნი, რომელნიც უმაღლესს არისტოკრატიას შეადგენდნენ [238]). ბოლო მთელი ძლიერს რომსაც, აღიგავა იმპერია და აღმოცენდა ფეოდალობა. რასაკვირველია, დროთა ბრუნვამ სასამართლო გამგეობაც შესცვალა: ფეოდალი შეიქმნა უმაღლეს მსაჯულად, მსაჯულთ-უხუცესად, თუ ეს სახელ-წოდება აქ ვარგისია. სამართალს ახალი პატრონი გამოუჩნდა და იგი Seigneur haut-justicier ირჩევდა ბჭეებს, რომელთაც ნება ჰქონდათ, მხოლოდ თავიანთი სწორი კაცი განებჯოთ [239]).

საათაბაგოც ვერ გადურჩა ისტორიულს გავლენას და ფეოდალობამ თავისი ხასიათი დაამჩნია სამართლის გარეგნობასა. რაკი სამთავროში ათაბაგი ითვლებოდა პატრონად და ჯაყელი იგივე ფეოდალი იყო, ამიტომ სამართალიც იმას ეკუთვნოდა. საათაბაგოს პატრონი სრულიად მიაგავდა ფეოდალურს Seigneur haut justicier-ს. მაგ., პატრონს შეეძლო დიდი აზნაური ჩამოეშალა. მაგრამ, თუ „პატრონმავე შეიწყალოს და ბჭეთა ბჭობადვე მისის გვარის სასტიკო სისხლი უბძანოს, იგი დაუურვოს „ბრალდებულმაო“ (მუხ. დ). რას ნიშნავდა

---

[231]) *Калачовъ, 175—6 и 187.*

[232]) *Соор. Об. и др. Зак. II. 97—8.*

[233]) *ibid. 64—5. I. 167—71.*

[234]) *Introduction, XCIII—XCV.*

*) უვიცობის გამო, ეს სიტყვა რუსულად გადათარგმნილია „*личная обида*“-დ (??). მაინც ჩვენი სამართალი უვარგისად უთარგმნიათ. მიუცილებლად საჭიროა, რომ ქართულს ენას მიჰმართონ, თორემ რუსული თარგმანი შეცდომებით სავსეა.

[235]) *Зак. и Об. на Кав. II 117.*

[236]) *Беко, Организація уголовной юстиціи въ главнѣйшія историческія эпохи, 1867 г. стр. 1—10.*

[237]) *Іерингъ, 119—221.*

[238]) *Карлъ Майнцъ, 96.*

[239]) *Беко, 169—173.*

ამალა ხელმწიფე იმპერატორისა და უფროსნი კრასნოე სელოს ბანაკის ჯართა ნაწილებისა. სადგურიდგან მოკიდებული გზაზედ მწკრივად ჯარი იდგა. 10½ საათზე კრასნოე სელოს სადგურზე მოვიდა საიმპერატორო მატარებელი, რომელშიაც ბრძანდებოდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და მემკვიდრე ცესარევიჩი. გამობრძანდა რა ვაგონიდგან მემკვიდრე ცესარევიჩი მიესალმა მიმგებებელთ. სადგურიდგან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი მცირე ხანს შებრუნდნენ სასახლეში და იქიდგან ეკკლესიაში წაბრძანდნენ პარაკლისის გარდასახდელად მემკვიდრე ცესარევიჩის მშვიდობით დაბრუნების გამო. დიდს კარავში საუზმე გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ უავგუსტოესი სახლობა, მინისტრნი და წარჩინებულნი სამხედრონი. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ სადღეგრძელო წარმოსთქვა მემკვიდრე ცესარევიჩისა, ხელმწიფე იმპერატორისა და კრასნოე სელოს ბანაკის ჯარისა.

6 აგვისტო

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** საქმე ეხლა უკეთესად მიდის. ჩაისა და სხვა-და-სხვა საქონლის ფასები გამოაცხადეს. საქონელი ცოტა მოდის. ვოლგა ჩამოწყდა და ამის გამო ბევრს საქონელს ვერ მოუღწევია აქა.

**პრაღა.** აქ მოვიდნენ კიეველი სტუმრები და მაშინვე საქალაქო კლუბში მიიწვიეს, სადაც დიდის ამბით დაუხვდნენ. როცა კიეველები გამოფენაზე მივიდნენ, ხალხი ალტაცებით მიეგება და იძახდა „ურა-სა და „სლავა“-ს. ზოგმა რუსული საერო საგალობელიც იგალობა.

**ბერლინი.** დღეს დაიწყო მოქმედება კოხის ინსტიტუტმა გადამდების სენით ავადმყოფთა სარჩენად.

მინისტრთა საბჭომ გარდასწყვიტა, მიზეზს ვერას ვხედავთ, რომ ან შევამციროთ და ან სრულიად მოვსპოთ პურზე გარდასახადიო.

**ბერნი.** მიუნხენბუხზესა და ცოლლიკოფენს შუა, ბერნისა და კაიენნის გზაზე, დღეს დილით პარიჟიდგან მომავალი მსწრაფლი მატარებელი ბერნიდგან მიმავალს სახალხო მატარებელს დაეჯახა. 141 კაცი მოკვდა და 23 კაციც დაჰრილია.

**პარიჟი.** სერბიის მეფე მამითურთ დღეს მობრძანდა აქა და სადგურზე მიეგება პრეზიდენტ კარნოს მიერ გაგზავნილი აფიცერი.

**შანხაი.** პეკინის მთავრობა უარს ჰყოფს და არ აკმაყოფილებს უცხო სახელმწიფოთა მოთხოვნილებას ქრისტიანების დევნის გამო. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი იმუქრებიან, თუ არ დაგვაკმაყოფილებს ჩინეთის მთავრობა, მაშინ ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა და გერმანიის ფლოტს მოვიხმარებთო.

7 აგვისტო

**ვენა.** პრაგაში კიეველ სტუმრების მოსვლის დროს მომხდარ დემონსტრაციების გამო დიდი მითქმა-მოთქმაა გაზეთებში, რომ ამ საქმეში მთავრობის ჩარევა საჭიროაო. პრაგიდგან იუწყებიან, პოლიცია აპირობს კიეველს სტუმრებს დაბალის თეთრის ქუდების დახურვა აუკრძალოს, რადგან თვალში მეტად ეცემაო. რამდენიმე ჩეხი დააპატიმრეს, რომელნიც „ურა“-ს იძახდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 61 | 7, 65 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 11 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 228¾ | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 213 | — ,, | 211¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

ეს „ბჯეთა უბძანოს“?—იმას, რასაც ფეოდალურს ევროპაში ნიშნავდა: ათაბაგის სახელით სწარმოებდა სამართალი და ბჭენიც პატრონის მორჩილნი იყვნენ. სხვა მსგავსებაც მოიპოვება. ევროპაში სენიორს უფლება ჰქონდა, თითონ დაესაჯა მძიმე დამნაშავე და, როცა დიდს საქმეს ბჭობდნენ, მაშინ იგი თავმჯდომარეობდა. ასე იყო საათაბაგოშიც. შესმენა—ესა და ეს პატრონის მოღალატეაო—კმაროდა, რომ „რაცა ავი იქნების, ყველა უყოს პატრონმან შეზახებულთა კაცთა: ხელითა მორბევა, მამულისა წაღება და გაძება და დიდხან ღარიბობას ყოფა და ბედითად სიარული“ (მუხ. მა). და განა ეს თავისით განსჯა იგივე უფლება არ არის, რაც ევროპიელს ფეოდალს ეპყრა? რასაკვირველია, „შეზახებულს“ შეეძლო ბჭობით თავი ემართლა („ბჭობით ამად ვერას შეავდებს“), მაგრამ საქმე ისაა, რომ ბჭენი პატრონის ბძანებით უნდა დამჯდარიყვნენ საბჭოდ...

თითქო მარტო ფეოდალური შთამოება საკმაო არ იყო და სამართალს საღმრთო ძალაც ზედ დაერთო. მაინც ძველად ხალხს სწამებია, თვით ღვთაება უხილავად განაგებს სამართალსაო. ათინაში ჯერ მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს და მერე ბჭობას იწყებდნენ[240]).

რომაელებს, კელტებს, ინდოელებს სამართალი ღვთიურ საქმედ მიაჩნდათ[241]) და ბევრს სხვა ადგილასაც ეგრე ყოფილა. მაგრამ, რაც დრო და ჟამი მიდის, სამართალი ზეციდგან საქარისკენ მოეშურება და დასასრულ თემიდას ტაძარი ცოდვილს ქვეყანაზე არსდება. სამართლის წარმატება სწორედ ეს ზემოდგან ქვემოდ მსვლელობაა. საათაბაგოში-კი სამართალს ჯერ ისევ ზეცასთან ჰქონდა კავშირი—„ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ, თქვენთა გულთა შიგან ღვთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთო“ და ეს იმიტომ, რომ სამართალი „ერთბამად გაჩენილია განგებითა ღვთისათა“ (მუხ. რ). თითონ ათაბაგმაც სამართალი ღვთისა და ღვთის მშობლის „მინდობით“ დასწერა: „შევიყარენით ჰოლთას მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა ღვთის მშობლისანი“ და ეს დავადგინეთო. ამიტომ ბჭეც ალჭურვილი უნდა ყოფილიყო სიწმინდით, „მართალი სამართალი გაეჩინა“, არავის სთნეოდა „არას ქრთამის ქადებისათვის, არამედ არად არა“... ქრთამის აღება ზნეობრივის უწმინდურობის შედეგია და სწორედ ასე მოხდა ათინასა და რომში, სადაც მოსამართლენი აშკარად იღებდნენ ქრთამსა, როცა საზოგადოება ზნეობრივად გაირყვნა[242]) და მაშინ ეს სამარცხვინო საქმე საოხუჯოდაც მიაჩნდათ. ალბუღა-კი სხვაფრივ აჩენს—„თუ ბჭისაგან ქრთამის აღება გამოჩნდეს, იგი ნაბჭობი ტყუილი იყოს და მას ბჭესა სიავისა ხელნი დაესხნენ*) და ოდესცა გამოსჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიბჭნენო“ (მუხ. ჟა).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

[240]) ibid. 27.

[241]) Совр. Об. и др. Зак. II. 196—202. См. также Іеринга, 227—237.

[224]) Беко, 77.

*) არ ვიცით, რას ნიშნავს—სიავისა ხელნი დაესხნენ. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, სიტყვა სიავი სპილენძის ქვაბსა ჰქვიან... ძველად ფრანგები მოქრთამე მოსამართლეს სიკვდილით სჯიდნენ, Беко, 160.

**განცხადებანი**

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგიდოების“ წიგნის მაღაზიაში და თვითონ ავტორთან ფოთში

**სიმრთელის კიდოვანი**
(კარაბადინი)
ოჯახში სახმარებლად
შედგენილი ილია ვასილის ძის სოლოქველიძის მიერ.
ფასი ერთი მანათი.
(5—104—2)

**საკომერციო კურსები**
**ქალებისა და ვაჟებისათვის**
წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ქიმია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საგაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავჭალის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—8)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

**სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა**

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—7) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

**დ ა ნ ი ა**

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—10)

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

**ქართული პიესები**
თხზულება
**ალალო თუთაევისა.**
ამ იგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

„**უშნო არშიყი**“, კომედია სამ მოქმედებად.
„**სოფიო**“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.
„**დუქნის ოთახში**“, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში
კავკავში—ი. ტერტეროვთან.
ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.
სიღნაღში—კ. ნადიროვთან.
თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.
გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.
ცხინვალში—ი. მელქუმოვთან.
„ თ. კ. მ. ციციანოვთან.
სურამში—ზ. არუწოვთან.
ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.
ქუთაისს—ძმ. ჭილაძებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.
ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.
ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.
ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.
სოხუმში—ან. ჯულელთან.
ფასი. 30 კაპ.
(15—11)

Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე